4.13. Childbirth - reimbursement of the cost of medical services (medications, manipulations, ward (standard, resuscitation, intensive), cost of pain relief) related to physiological childbirth or cesarean section with medical indication, as well as treatment of childbirth complications, according to the card. Taking into account the card coverage and limit for this service, the costs related to childbirth and/or its subsequent complications will be covered (meaning both before and after the discharge of the insured person from the medical institution), regardless of whether the conditions caused by these complications are incurred in emergency hospital or outpatient conditions.

Procedure to receive the service: the insured has the right to choose a licensed medical institution.

- In order to receive services at the company's contractor clinic, the insurer issues a letter of guarantee, on the basis of which the insured is exempted from paying the share stipulated in the value policy.
- The insured must submit complete documentation about the planned caesarean section to the insurer at least 3 (three) working days before the date of the planned caesarean section; In case of childbirth/caesarean section - 1 day before discharge from the maternity hospital.
- Without a letter of guarantee, as well as when applying to a non-contractor clinic of the company, the insured pays the service amount in full and then applies to the insurance compensation group for compensation within 30 days after receiving the service. Documentation required for reimbursement: ID card; birth certificate of the child; Form #100 (services received with a detailed description), a detailed assessment/calculation of the services, cashier's receipt confirmed with the stamp and signature of the service institution/doctor.

4.14. Seeking a second opinion - the service includes, in the case of an oncological disease diagnosis, clarification/confirmation of the diagnosis by the world's leading clinic specialists, selection of the most optimal treatment scheme, preparation of other types of medical recommendations.

Procedure to receive the service: during working hours, the insured contacts the representative of the international organization "Medigaid" in Georgia - Clinic Curatio, at the special number: 032 2 431010, where he makes an application about the need for the service. The Clinic will contact the Curation Insured within the latest 1

4.15. რთული სამედიცინო შემთხვევების მართვა - ითვალისწინებს ისეთ შემთხვევების კონსილიუმის ადმინისტრირებას, როდესაც საქართველოში დამკვიდრებული სახელმწიფო პროტოკოლების/გაიდლაინების მიხედვით ჩატარებული კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების საფუძველზე რამოდენიმე სპეციალისტს გააჩნია განსხვავებული მოსაზრება დიაგნოსტირებასთან და/ან მკურნალობის სქემის შერჩევასთან.

მომსახურების მიღების წესი: პირადი ექიმი აფიქსირებს კონსილიუმის ჩატარების საჭიროებას, რომელიც თავის მხრივ ათანხმებს მზღვეველთან და ახდენს კონსილიუმის ორგანიზებას სათანადო დარგების წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით.

4.16. ევროპული სამედიცინო დიაგნოსტიკა - Diagnose.me - მომსახურება ითვალისწინებს: მსოფლიო მასშტაბის დარგის წამყვანი სპეციალისტის კონსულტაციას, დასმული დიაგნოზის დამოუკიდებლად და ექსპერტულად ხელახლა შეფასებას, წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტების საფუძველზე მკურნალობის დანიშნული გეგმის გადახედვას.
მომსახურების მისაღებად: დაზღვეული ვებ-მისამართიდან https://lp.diagnose.me/en/gpihge ირჩევს დარგის სპეციალისტს, ტვირთავს სამედიცინო დოკუმენტაციას და 10 სამუშაო დღის ვადაში იღებს პასუხს სამედიცინო პრობლემის შესახებ.

5. გამონაკლისები

5.1. ანაზღაურებას არ ექვემდებარება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები და/ან მათთან/ მათ გართულებებთან,დაკავშირებული და მათგან გამომდინარე ნებისმიერი მომსახურებების ხარჯები.

5.1.1. ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენებით/გარემოებებით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარეობის და/ან მათთან/ მათ გართულებებთან დაკავშირებული და მათგან გამომდინარე ნებისმიერი მომსახურებების ხარჯები: თვითდაშავება, თვითმკვლელობის მცდელობით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (თუ ეს არ ეხება სხვისი სიცოცხლის გადარჩენას), კრიმინალურ (კანონსაწინააღმდეგო) აქტში მონაწილეობა, სამხედრო სამსახურში ყოფნისას, თავისუფლების აღკვეთის პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა, ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ, ტოქსიკურ ნივთიერებებზე დამოკიდებულებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურება, ასევე ამ ნივთიერებათა ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, მათ შორის ამ ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ნებისმიერი სახის პროფესიულ სპორტში მონაწილეობა.

5.1.2. ქვემოთ ჩამოთვლილ დაავადებებთან და/ან მათთან/ მათ გართულებებთან დაკავშირებული და მათგან გამომდინარე ნებისმიერი მომსახურებების ხარჯები: თანდაყოლილი ან/და გენეტიკური დაავადებები და ანომალიები (გარდა ქირურგიული მკურნალობისა), სექსუალური დარღვევები, აივ-ინფექცია, შიდსი, ჰეპატიტები (ნებისმიერი ფორმისა და სტადიის), შაქრიანი და უშაქრო დიაბეტი, უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები (მათ შორის ვულვოვაგინალური კანდიდიაზის, ბაქტერიული ვაგინოზისა და ურეთრიტისა), ფსიქიური

working day. After collecting the necessary medical information, Curatio's doctor, with the help of Mediguide, provides the search for three world-leading clinics, from which the insured chooses the desired clinic that provides the service. The insured person must provide the medical documentation related to the service to the clinic in Georgian or English. Curacio Clinic provides services defined by the terms of seeking a second opinion to the insured within 15 days after the event is announced.

4.15. Management of Complex Medical Cases
The management of complex medical cases involves the administration of a medical board (consilium) in situations where, based on clinical, laboratory, and instrumental investigations conducted in accordance with state-established protocols and guidelines in Georgia, multiple specialists hold differing opinions regarding the diagnosis and/or the selection of a treatment plan.

Service Provision Procedure: The personal physician identifies the need for a consilium, based on the clinical condition and existing diagnostic or treatment-related discrepancies. The physician then coordinates this need with the insurer and organizes the consilium with the involvement of leading specialists from the relevant medical fields.

4.16. European Medical Diagnostics – Diagnose.me
This service includes consultation with a world-leading specialist in the relevant medical field, an independent expert second opinion on your current diagnosis, and a review of your treatment plan based on the provided medical documentation.
Service Provision Procedure: To use the *International Diagnosis – Diagnose.me* service, the insured person visits https://lp.diagnose.me/en/gpihge, selects a specialist, uploads their medical documentation, and receives a professional opinion about their medical issue within 10 business days.

5. EXCEPTIONS

5.1. The cases listed below and/or the costs of any services related to them/their complications and arising from them are not subject to compensation.

5.1.1. Costs of health conditions caused by the events/circumstances listed below and/or related to them/their complications and any services resulting from them: self-injury, deterioration of health conditions caused by suicide attempts (unless it concerns the saving of another's life), participation in a criminal (illegal) act, military service During the stay, an insurance event occurring during the period of imprisonment, medical services related to addiction to alcoholic, narcotic, toxic substances, as well as deterioration of the health condition caused by exposure to these substances, including deterioration of the health condition caused by a traffic accident while driving vehicles while under the influence of these substances, of any kind Participation in professional sports.

5.1.2. Costs of any services related to and resulting from the following diseases and/or their complications: congenital and/or genetic diseases and anomalies (except for surgical treatment), sexual disorders, HIV-infection, AIDS, hepatitis (of any form and stage), diabetes and diabetes insipidus, mainly sexually transmitted diseases (including vulvovaginal candidiasis, bacterial vaginosis and urethritis), mental diseases, reproductive function disorders, chronic diseases of the blood and hematopoietic system, systemic diseases,

დაავადებები, რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა, სისხლის და სისხლმბადი სისტემის ქრონიკული დაავადებები, სისტემური დაავადებები, გაფანტული და ამიოტროფული სკლეროზი, ეპილეფსია, ტუბერკულოზი; დაზღვევამდე არსებული სიმსივნური დაავადებები;

5.1.3. ქვემოთ ჩამოთვლილ მომსახურებების/პროცედურებისდა/ან მათთან/ მათ გართულებებთან დაკავშირებული და მათგან გამომდინარე ნებისმიერი მომსახურებების ხარჯები: ექსპერიმენტული და არატრადიციული მედიცინა; სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ არის მიზანშეწონილი სამედიცინო თვალსაზრისით ან ჩატარებულია სამედიცინო ჩვენების გარეშე, დამატებითი და ექსკლუზიური მომსახურება, აყვანილი/მოწვეული ექიმის ჰონორარი (გარდა დამატებითი მომსახურების შესაბამისად, გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების შემთხვევისა); საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გაგზავნა და გამოკვლევები; გეგმიური აცრები (ვაქცინაცია, იმუნიზაცია), ნებისმიერი სახის სამედიცინო ცნობის მიღებასთან დაკავშირებული გამოკვლევები; სანატორიული და ბალნეოლოგიური, რეაბილიტაციური, პალიატიური მკურნალობა, სამკურნალო ვარჯიშები, სამედიცინო მასაჟები, მანუალური თერაპია და ფიზიოპროცედურები, კოსმეტიკური და პლასტიკური სამედიცინო მომსახურება, წონის კორექციასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურება, მხედველობის კორექცია (მათ შორის ექსიმერული ლაზერით მკურნალობა, რეფრაქციული ანომალიის კორექცია); ნებისმიერი სახის ეგზოპროთეზირება, ტრანსპლანტაცია, დიალიზი, სანაყოფე სითხის დიაგნოსტიკა და ნებისმიერი სახის გენეტიკური კვლევა; ხელოვნური განაყოფიერება, სტერილიზაცია, კონტრაცეფცია, ფსიქოთერაპევტის, ფსიქოანალიტიკოსისა და ლოგოპედის მომსახურება; დაზღვევის ძალაში შესვლამდე დამდგარი ჰოსპიტალური შემთხვევა; მონოკლონური ანტისხეულებით მკურნალობა; ხერხემლის მადეფორმირებელი მდგომარეობების რეკონსტრუქციული ოპერაციული მკურნალობა მაგ: კიფოზები, ლორდოზები, სქოლიოზები. დაზღვევამდე არსებული გულის რითმის დარღვევის კათეტერული აბლაცია.

5.1.4. ქვემოთ ჩამოთვლილსაშუალებების შეძენასთან, მოხმარებასთან და/ან მათთან/ მათ გართულებებთან დაკავშირებული და მათგან გამომდინარე ნებისმიერი მომსახურებების ხარჯები:
არარეგისტრირებული მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატები (მათ შორის მედიკამენტად რეგისტრირებული) გარდა ბარათში მითითებული ფასდაკლებისა, პარასამკურნალო და ჰომეოპათიური საშუალებები, ჰიგიენისა და მოვლის საშუალებები, გადასახვევი მასალები და შაქრის შემცვლელელები, იმუნომოდულატორები, ფსიქოტროპული პრეპარატები, სისტემური ენზიმოთერაპია, დამხმარე საშუალებები და მაკორეგირებელი საშუალებები/მოწყობილობები (მათ შორის სათვალე, ლინზები, სასმენი მოწყობილობები, და სხვა), პროთეზები, იმპლანტები (გარდა ბარათით გათვალისწინებულისა).

5.2. ნებისმიერი სხვა (სახელმწიფო და არასახელმწიფო) სამედიცინო/ჯანდაცვის პროგრამებით თუ დაზღვევით გათვალისწინებული დაავადებების/მდგომარეობების სამედიცინო მომსახურება/მკურნალობა, გარდა აღნიშნული პროგრამების ანაზღაურების მიღმა დარჩენილი წილისა. სახელმწიფო პროგრამის მონაწილეებისთვის კონკრეტული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებისას სადაზღვევო კომპანია იხელმძღვანელებს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტარიფით. თუ სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი პირი, ნებაყოფლობით უარს აცხადებს ამ პროგრამის ბენეფიტის გამოყენებაზე, ერთჯერადად ან მუდმივად, სადაზღვევო კომპანია არ აანაზღაურებს ამ ცვლილებით გამოწვეულ დამატებით ხარჯს, მიუხედავად სამედიცინო დაწესებულებისა.

5.3. იმ მომსახურებების ხარჯები, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით/პოლისით, არ ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას.

5.4. მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება შემთხვევები, როდესაც სახეზეა დამზღვევის ან/და მოსარგებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა ან/და მზღვეველის მითითებების შეუსრულებლობა ან/და მზღვეველის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა მზღვეველის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

diffuse and amyotrophic sclerosis, epilepsy, tuberculosis; cancerous diseases existing before insurance;

5.1.3. Costs of services/procedures listed below and/or related to them/their complications and any services arising from them: experimental and non-traditional medicine; Medical services that are not appropriate from a medical point of view or are performed without a medical indication, additional and exclusive services, hired/invited doctor's fee (except for additional services in accordance with the case of scheduled hospital services); sending research material taken in Georgia abroad and examinations; Scheduled vaccinations (vaccination, immunization), examinations related to receiving any type of medical certificate; sanatorium and balneological, rehabilitation, palliative treatment, medical exercises, medical massages, manual therapy and physioprocedures, cosmetic and plastic medical services, medical services related to weight correction, vision correction (including excimer laser treatment, refractive anomaly correction); Any type of exoprosthesis, transplantation, dialysis, amniotic fluid diagnosis and any type of genetic research; artificial insemination, sterilization, contraception, psychotherapist, psychoanalyst and speech therapist services; a hospital incident before the insurance comes into effect; treatment with monoclonal antibodies; Reconstructive operative treatment of deforming conditions of the spine, eg: kyphosis, lordosis, scoliosis. Catheter ablation of pre-existing cardiac arrhythmias.

5.1.4. The costs of any services related to the purchase, use and/or their complications of the following means:
Non-registered medicines, biologically active food supplements (including those registered as medicines) except for the discount specified in the card, para-medicinal and homeopathic remedies, hygiene and care products, dressing materials and sugar substitutes, immunomodulators, psychotropic drugs, systemic enzyme therapy, auxiliary means and corrective means/devices (including glasses, lenses, hearing aids, etc.), prostheses, implants (except for those provided by the card).

5.2. Medical services/treatment of diseases/conditions covered by any other (state and non-state) medical/healthcare programs or insurance, except for the portion remaining beyond reimbursement of said programs. In indemnifying the costs of specific medical services for the participants of the state program, the insurance company will be guided by the tariff established by the state. If the beneficiary of the state program voluntarily refuses to use the benefit of this program, once or permanently, the insurance company will not reimburse the additional cost caused by this change, regardless of the medical institution.

5.3. The costs of those services, which are not covered by this Agreement/Policy, are not subject to indemnification by the Insurer.

5.4. The Insurer will not compensate for cases where the Policyholder and/or the Beneficiary violates the obligations stipulated in this Agreement and/or fails to comply with the Insurer's instructions and/or fails to submit the documentation requested by the Insurer within the time limits specified by the Insurer.

შენიშვნა: გამონაკლისებით დაზღვეულ პირებს სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად უნაზღაურდება პუნქტში 5.1.2. მითითებული დაავადებების გეგმიური ამბულატორიული მომსახურების დიაგნოსტირების ხარჯები, თუ შემდეგი სერვისები განხორციელებულია კლინიკა „კურაციოს“ მიერ: სპეციალისტის კონსულტაცია, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები.

Note: Persons insured with exceptions will be compensated in accordance with the clause 5.1.25. of the Insurance Agreement. The costs of scheduled outpatient diagnostic services for the diseases specified in the clause, if the following services are provided by the "Curacio" clinic: specialist consultation, instrumental and laboratory tests.

6. სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის პირობების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ითვალისწინებს და ადგენს დამზღვევის და მზღვეველისურთიერთობის პირობებს სადაზღვევო სფეროში, კერძოდ მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა ძალაშია პოლისში მითითებული თარიღით, რომლის ყოველი შემდგომი ამოწურვის შემდეგ პოლისის მოქმედება ავტომატურად გრძელდება 1 (ერთი) წლის ვადით ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

6.2. მზღვეველი უფლებამოსილია, სადაზღვევო პროდუქტის სპეციფიკის გათვალისწინებით, სადაზღვევო ხელშეკრულების ავტომატურად განახლებისას ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების სახეები ან/და სადაზღვევო პრემია ხელშეკრულების 8.2. პუნქტის შესაბამისად.

6.3. თუ დაზღვეული შვილი სადაზღვევო პერიოდში მიაღწევს 21 ან/და დაზღვეული ან მისი მეუღლე 60 წლის ასაკს, მაშინ სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე ის ისარგებლებს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დაზღვევით, თუმცა სადაზღვევო პერიოდის დასრულების შემდგომ აღარ მოხდება დაზღვევის ავტომატურად გაგრძელება. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია გაფორმდეს ჯანმრთელობის დაზღვევის ინდივიდუალური ხელშეკრულება. ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ამ მუხლით გათვალისწინებულ დაზღვეულებზე არ გავრცელდება მათთან გაფორმებული კონკრეტული ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაზღვევით გათვალისწინებული მოცდის პერიოდი.

6.4. დამზღვევის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულება ან/და პოლისი ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან გაუქმებას, ზარალი არ ანაზღაურდება და გადახდილი გამოუმუშავებელი პრემია დაუბრუნდება დამზღვევს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5. დაზღვეულის გარდაცვალებისას სადაზღვევო პოლისი უქმდება გამომუშავებულ პრემიას დამატებული წლიური პრემიის არაუმეტეს 25% პრემიის ოდენობით.

6. TERM OF VALIDITY OF THE INSURANCE AGREEMENT/POLICY

6.1. The Agreement provides for and establishes the terms of the relationship between the Insurer and the Policyholder in the field of insurance, in particular, the parties agree that the insurance provided for in the Agreement is effective on the date specified in the Policy, after each subsequent expiration of which the Policy is automatically extended for a period of 1 (one) year under the terms and conditions provided for in the Agreement.

6.2. The Insurer is entitled, taking into account the specifics of the insurance product, to unilaterally change the types of services and/or the insurance premium during the automatic renewal of the Insurance Agreement. in accordance with the clause 8.2.

6.3. If the Insured child reaches the age of 21 and/or the Insured or his/her spouse 60 during the insurance period, he/she will benefit from the insurance according to the terms of the Agreement, however, after the end of the insurance period, the insurance will no longer be automatically extended. In such a case, it is possible to sign an individual health insurance agreement. In case of signing an individual agreement, the waiting period stipulated by the specific individual health insurance will not apply to the insured persons provided for in this article.

6.4. In case of violation of the terms of the Agreement by the Insured, the Agreement and/or Policy is subject to cancellation by the Insurer, the loss will not be compensated and the paid unearned premium will be returned to the Insurer within 5 (five) working days.

6.5. In case of the death of the Insured, the Insurance Policy is canceled at the earned premium plus no more than 25% of the annual premium.

7. საოჯახო პაკეტის შეძენის პირობები

7.1. საოჯახო პაკეტი გულისხმობს 60 წლამდე მეუღლის ან/და 21 წლამდე ასაკის შვილების დაზღვევას.

7.2. საოჯახო პაკეტით გათვალისწინებულია საოჯახო პაკეტის შესაბამისი საოჯახო ლიმიტები ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

7.3. დამზღვევი უფლებამოსილია ოჯახის ყველა წევრისთვის აირჩიოს და შესაბამისად ოჯახის ყველა წევრზე გავრცელდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საოჯახო პაკეტთაგან მხოლოდ ერთი და იდენტური საოჯახო დაზღვევის პაკეტი. საოჯახო პაკეტის არჩევის შემთხვევაში ოჯახის ყველა წევრის მიმართ დაზღვევა იწყება ერთსადაიმავე დღეს.

7.4. საოჯახო პაკეტიდან ოჯახის წევრის გასვლა განიხილება როგორც კონკრეტული დაზღვეულის მიმართ დაზღვევის შეწყვეტა და დარეგულირდება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებით.

7.5. იმ შემთხვევაში თუ ოჯახის წევრის საოჯახო პაკეტიდან გასვლა გამოიწვევს ოჯახის წევრების 2 პირამდე შემცირებას, მაშინ დაზღვევის ავტომატური განახლებისას მზღვეველის მხრიდან გაუქმდება საოჯახო პაკეტი და თითოეულ დაზღვეულს

7. TERMS OF PURCHASE OF THE FAMILY PACKAGE

7.1. The family package includes insurance for a spouse under 60 years and/or children under 21 years.

7.2. The family package includes the family limits corresponding to the family package, regardless of the number of family members.

7.3. The Policyholder is entitled to choose for all family members and accordingly to apply to all family members only one and identical family insurance package from the family packages specified in the contract. In case of choosing a family package, insurance for all family members starts on the same day.

7.4. Withdrawal of a family member from the family package is considered as a termination of insurance for a specific insured and will be regulated by the termination conditions of the Agreement.

7.5. If the withdrawal of a family member from the family package results in a reduction of family members to 2 people, then the Insurer will cancel the family package during the automatic renewal of the insurance and the

სადაზღვევო პაკეტი განუახლდება საოჯახო პაკეტის პირობებით, თუმცა ინდივიდუალური დაზღვევის სახით.

7.6. საოჯახო პაკეტის ავტომატური განახლებისას შესაძლებელია მხოლოდ 1-დან 2 წლამდე ასაკის შვილის დამატება ოჯახის დანარჩენი წევრებისთვის არსებული იდენტური პირობებით.

8. სადაზღვევო პრემია და გადახდის წესი

8.1. ინდივიდუალური სადაზღვევო პრემიის გამოთვლა ხდება დამზღვევის მიერ არჩეული პაკეტის და დაზღვეულის ასაკის შესაბამისად, ხოლო საოჯახო პაკეტის შემთხვევაში დამზღვევის მიერ არჩეული პაკეტის, დაზღვეულთა ასაკის და დაზღვეული ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად.

8.2. სადაზღვევო ხელშეკრულების დადების შემდეგ პოლისში მითითებული ყოველი განახლებისას მოხდება პრემიის ხელახალი გადაანგარიშება და განსაზღვრა არჩეული პაკეტის და დაზღვეულის ასაკის შესაბამისად, ხოლო საოჯახო პაკეტის შემთხვევაში არჩეული პაკეტის, დაზღვეულთა ასაკის და დაზღვეული ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად. მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო პრემია გაზარდოს ცალმხრივად, არაუმეტეს ცვლილებამდე პოლისის წინა 12 თვის პრემიის 30%-ისა რის შესახებაც დამზღვევს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) საშუალებით დაზღვევისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე პოლისის განახლებამდე 1 (ერთი) თვით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი არ მოინდომებს პოლისის განახლებას გაზრდილი სადაზღვევო პრემიის პირობებში, მაშინ მან მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მზღვეველს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად.

8.3. დამზღვევი ვალდებულია დროულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია/შენატანი და დამატებითი მოდულ(ებ)ის ღირებულება სადაზღვევო პოლისში/ხელშეკრულებაში განსაზღვრული გადახდის გრაფიკის მიხედვითა და დადგენილი ოდენობით - ერთჯერადად ან განვადებით.

8.4. მიმდინარე სადაზღვევო პერიოდში გადახდის არჩეული გრაფიკის ცვლილება არ ხდება, თუმცა დაზღვევის ავტომატური განახლებისას დამზღვევს შეუძლია მიმართოს მზღვეველს და მოითხოვოს ახალ სადაზღვევო პერიოდში გადახდის გრაფიკის ცვლილება.

8.5. სადაზღვევო პრემიის გრაფიკი/ გადახდის თარიღები მითითებულია პოლისში.

8.6. სადაზღვევო პრემიის ერთჯერადი გადახდისას - მისი გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების/პოლისის გაფორმებისთანავე. დაზღვევის ავტომატური გაგრძელების შემთხვევაში დამზღვევი წლიურ (12 თვის) პრემიას იხდის წინასწარ სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე არანაკლებ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე.

8.7. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდისას სადაზღვევო პრემიის პირველი გადახდა ხორციელდება წინასწარ ხელშეკრულების/პოლისის გაფორმებისთანავე, არაუგვიანეს სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე 14 (თოთხმეტი) დღით ადრე, ხოლო მომდევნო გადახდები ხორციელდება ყოველ მომდევნო თვეს პოლისში მითითებულ თარიღებში, შეთანხმებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად.

8.8. სადაზღვევო პრემიის გადახდისას საგადახდო დავალებაში უნდა მიეთითოს პოლისის ნომერი. საგადახდო დავალებაში პოლისის ნომრის მიუთითებლობის შედეგებზე სრულად პასუხისმგებელია დამზღვევი.

8.9. დამზღვევის მიერ სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი წერილობით განუსაზღვრავს დამზღვევს გადახდის ორკვირიან ვადას, რომლის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისგან. სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის მოქმედება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ, დავალიანების გადახდის დღის 24.00 საათზე დავალიანების დაფარვის შემდგომ.

8.10. თუ დამზღვევმა დაარღვია პრემიის შეტანის ვალდებულება, მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო პრემიის გადახდის ორკვირიანი ვადის განსაზღვრისას გააფრთხილოს დამზღვევი

insurance package will be renewed for each Insured under the terms of the family package, but in the form of individual insurance.

7.6. During the automatic renewal of the family package, it is possible to add only a child aged 1 to 2 years under the same conditions as for the rest of the family.

8. INSURANCE PREMIUM AND RULE OF PAYMENT

8.1. The individual insurance premium is calculated according to the package chosen by the Policyholder and the age of the insured, and in the case of a family package according to the package chosen by the Policyholder, the age of the insured and the number of insured family members.

8.2. After signing the insurance Agreement, at each renewal specified in the policy, the premium will be recalculated and determined according to the selected package and the age of the Insured, and in the case of a family package, according to the selected package, the age of the Insured and the number of Insured family members. The Insurer is entitled to increase the insurance premium unilaterally, up to a change not exceeding 30% of the premium of the previous 12 months of the Policy, about which the Insurer is notified via a short text message (SMS) no later than 1 (one) month before the renewal of the Policy, to the phone number specified in the Policy. In case the Policyholder does not wish to renew the policy under conditions of increased insurance premium, then he/she shall send a written notification to the Insurer within 10 (ten) working days after receiving the short text message, otherwise the Agreement will be considered automatically extended.

8.3. The Policyholder is obliged to pay the insurance premium/contribution and the cost of additional module(s) on time according to the payment schedule specified in the Insurance Policy/Agreement and in the specified amount - in a lump sum or in installments.

8.4. The change of selected payment schedule during the current insurance period is impossible, however, during the automatic renewal of the Insurance Policy, the Policyholder may contact the Insurer and request a change in the payment schedule for the new insurance period.

8.5. Insurance premium schedule/payment dates are specified in the Policy.

8.6. In case of one-time payment of the insurance premium – premium shall be paid immediately after signing the Insurance Policy/Agreement. In case of automatic extension of insurance, the Policyholder pays the annual (12 months) premium no later than 14 (fourteen) days before the start of the insurance period.

8.7. When paying the insurance premium in installments, the first payment of the insurance premium is made immediately after signing the Insurance Policy/Agreement, no later than 14 (fourteen) days before the start of the insurance period, and subsequent payments are made every month on the dates specified in the Policy, in accordance with the agreed payment schedule.

8.8. When paying the insurance premium, the Policy number must be indicated in the payment order. The Policyholder is fully responsible for the consequences of indicating the policy number in the payment order.

8.9. In case of breach of the obligation to pay the insurance premium by the Policyholder, the Insurer shall specify in writing a two-week payment period, after which the Insurer shall be released from its obligations. The validity of the Insurance Policy/Agreement will be renewed only after the payment of the premium by the Policyholder, at 24:00 on the day of the payment of the premium.

და დადგენილი ორკვირიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ დამატებით ორი კვირის ვადაში მოშალოს ხელშეკრულება, დამატებითი გაფრთხილების გარეშე და მოსთხოვოს დამზღვევს როგორც დარიცხული დავალიანება, ასევე, დაზღვევის ხელშეკრულებით/პოლისით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

8.11. ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაცემული პოლისების მოქმედების შეჩერება არ ათავისუფლებს დამზღვევს სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.

8.12. მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ხელშეკრულების 8.10. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული 2 (ორი) კვირიანი ვადის გასვლის შემდგომ, მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან. გადახდის გრაფიკის აღდგენის და პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ, მხარეთა ურთიერთობა გაგრძელდება ხელშეკრულების შესაბამისად, თუმცა, ამავე დროს მზღვეველი არ იქნება პასუხისმგებელი მხარეთა ურთიერთობის აღდგენამდე მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებაზე.

8.13. პრემიის პირველი შენატანის გადახდამდე მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, რაც ამავე დროს არ ათავისუფლებს დამზღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.14. ხელშეკრულების 8.10. პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ორკვირიანი ვადის განსაზღვრის ვალდებულება მზღვეველს არ წარმოეშვება პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე და ამასთანავე, მზღვეველი თავისუფალია ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობების შესრულებისაგან.

8.15. სადაზღვევო პრემია იხ. დანართ 2-ში.

9. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაზღვევა

9.1. 60 წლის და უფრო მაღალი ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის დაზღვევა შესაძლებელი არ არის.

9.2. უცხო ქვეყნის მოქალაქის/თუ მოქალაქეთა ჯგუფის დაზღვევა, მიუხედავად გადახდის ჯერადობისა და ოჯახის წევრთა რაოდენობისა/ასაკისა არ ითვალისწინებს ფასდაკლებას.

9.3. უცხო ქვეყნის მოქალაქის დაზღვევა ითვალისწინებს პრემიის სულ მცირე კვარტალურ გადახდას.

9.4. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ნებისმიერი სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება 1. კომპანიის კონტრაქტორ კლინიკაში შესყიდული ტარიფის მიხედვით. 2. არაკონტრაქტორ კლინიკაში ფაქტიური ხარჯის მიხედვით.

9.5. იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო ზარალის დარეგულირებისას ან ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში აღმოჩნდება, რომ დარღვეულია ხელშეკრულებით დადგენილი რომელიმე პირობა, მაშინ პოლისი ექვემდებარება დაუყოვნებლივ გაუქმებას, ზარალი არ ანაზღაურდება და გადახდილი გამოუმუშავებელი პრემია დაუბრუნდება დამზღვევს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

10. მხარეთა უფლება – მოვალეობები

10.1. მზღვეველი ვალდებულია:

10.1.1. დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული გრაფიკის შესაბამისად გადახდილი სადაზღვევო პრემიის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს დაზღვეულს (ან მოსარგებლეს) ზარალი ხელშეკრულების/პოლისის პირობების შესაბამისად.

10.1.2. დაიცვას და არ გაახმაუროს დამზღვევთან საქმიანი ურთიერთობების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.1.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის

8.10. If the Policyholder has violated the obligation to pay the premium, the Insurer may, upon determining the two-week term for payment of the insurance premium, warn the Policyholder, and if the two-week period expires without result, terminate the contract within additional two-week period, without additional notice, and demand from the Policyholder both the accrued debt and the penlaties stipulated in the Insurance Policy/Agreement.

8.11. Suspension of validity of the Agreement and the insurance policies issued on its basis does not release the Policyholder from the obligation to pay the insurance premium.

8.12. After the expiration of the 2 (two) week period determined by the Insurer for the Policyholder in accordance with clause 8.10. of the Agreement, the Insurer shall be released from the performance of its obligations under the Agreement. After the restoration of the payment schedule and the payment of the premium, the relationship between the parties will continue in accordance with the Agreement, however, at the same time, the Insurer will not be responsible for the compensation of losses arising as a result of insurance events that occurred before the restoration of the relationship between the parties.

8.13. Before the payment of the first installment of the premium, the Insurer is exempted from fulfilling the obligations stipulated in the Agreement, which at the same time does not exempt the Policyholder from fulfilling the obligations stipulated in the Agreement.

8.14. The Insurer is not obligated to determine the two-week payment period provided for in the clause 8.10. of the Agreement. until the first or one-time insurance premium payment requirement is fulfilled on time, and at the same time, the Insurer is free from fulfilling its obligations under the contract.

8.15. Insurance premium see in the Annex 2.

9. INSURANCE OF FOREIGN CITIZENS

9.1. A foreign citizen aged 60 and older cannot be insured under this Insurance.

9.2. The insurance of a foreign citizen/or a group of citizens, regardless of the payment method and the number/age of family members, does not include a discount.

9.3. Insurance of a foreign citizen provides for at least quarterly premium payments.

9.4. Reimbursement of the cost of any medical services for foreign citizens will be carried out with according to: 1. the tariff purchased at the company's contractor clinic. 2. the actual cost at a non-contractor clinic.

9.5. In the event that during the settlement of medical losses or within the scope of the Agreement, the Insurer finds that any of the conditions established by the Agreemet are violated, then the policy is subject to immediate cancellation, the loss will not be compensated and the paid unearned premium will be returned to the insurer within 5 (five) working days.

10. RIGHTS AND OBLIGATIONS OF THE PARTIES

10.1. The Insurer is obliged to:

10.1.1. on the basis of the insurance premium paid by the Policyholder in accordance with the schedule specified in the Agreement, in the event of an insured event, compensate the Insured (or the beneficiary) for the loss in accordance with the terms of the Agreement.

10.1.2. protect and not disclose the information obtained as a result of business relations with the Policyholder, except for the cases directly provided by the laws of Georgia.

10.1.3. in the event of an insured event, the Insured/Policyholder shall, after submitting all the necessary documents for the determination of the insured event and the amount of the

განსაზღვრისათვის დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ შეასრულოს დაზღვევით ნაკისრი ვალდებულება დროულად და ჯეროვნად ან არგუმენტირებულად უარი უთხრას დამზღვევს/დაზღვეულს ანაზღაურების გაცემაზე.

10.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

10.2.1. დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების პირობებისა და პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით და მოსთხოვოს დამზღვევს როგორც დარიცხული დავალიანება, ასევე დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

10.2.2. გაზარდოს სადაზღვევო პრემია ცალმხრივად, არაუმეტეს ცვლილებამდე პოლისის წინა 12 (თორმეტი) თვის პრემიის 30%-ისა. რის შესახებაც დამზღვევს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) საშუალებით დაზღვევისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე პოლისის განახლებამდე 1 (ერთი) თვით ადრე.

10.2.3. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ან მისი თანამონაწილეობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს. ამასთან ყოველი ასეთი პირის დაზღვევა მზღვეველის მხრიდან ექვემდებარება დაუყოვნებლივ გაუქმებას.

10.2.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევს/დაზღვეულს ყოველგვარი ცნობა და დამატებითი დოკუმენტაცია რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის, ასევე ზიანის მოცულობის დასადგენად.

10.2.5. მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების დაბრუნება, თუ აღმოჩნდა, რომ ზარალის დადგომა არ იყო გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით ან დამზღვევის ბრალით შეუძლებელია რეგრესის უფლების გამოყენება.

10.2.6. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს შეცვალოს ერთი ან რამოდენიმე სამედიცინო კონტრაქტორი.

10.2.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების გარდა, ასევე ნებისმიერ დროს თავისი შეხედულებისამებრ ცალმხრივად მოშალოს სადაზღვევო ხელშეკრულება, ხელშეკრულების მოშლის შესახებ დამზღვევის 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი ინფორმირების საფუძველზე.

10.2.8. არ განაახლოს დაზღვევა ავტომატურად, თუ დაზღვეული პირი ან მისი მეუღლე მომდევნო სადაზღვევო პერიოდში აღწევს 60 წლის ასაკს ან დაზღვეული შვილი აღწევს 21 წლის ასაკს.

10.3. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია:

10.3.1. ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს შეატყობინოს ყველა ის გარემოება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მზღვეველის გადაწყვეტილებაზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი პირობებით.

10.3.2. პრემიის ოდენობის ცვლილების შესახებ მზღვეველის სატელეფონო შეტყობინების (SMS) მიღების შემთხვევაში თუ დამზღვევი არ მოინდომებს პოლისის განახლებას გაზრდილი სადაზღვევო პრემიის პირობებში, მაშინ ის ვალდებულია აცნობოს მზღვეველს აღნიშნულის შესახებ წერილობით მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ დამზღვევი თანახმაა შეცვლილ პირობაზე და ახალი პირობა ჩაითვლება ავტომატურად ძალაში შესულად და მოქმედად.

10.3.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ შეასრულოს მზღვეველის ყველა მითითება და წარმოუდგინოს მზღვეველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული და მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა ის დოკუმენტი და ცნობა, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის, ასევე ზიანის მოცულობის დადგენას.

10.3.4. დეტალურად გააცნოს ხელშეკრულების და მისი დანართების პირობები დაზღვეულებს და მოიპოვოს მათგან ხელშეკრულების გასაფორმებლად და მზღვეველის მიერ ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მოქმედებების განსახორციელებლად/შესასრულებლად საჭირო ყველა სახის თანხმობა. დამზღვევი ვალდებულია, რომ დაზღვეულებს გააცნოს

insurance indemnity, fulfill the insurance obligation in a timely manner, or refuse to issue an indemnity to the Insured/Policyholder with an argument.

10.2. The Insurer is authorized to:

10.2.1. in case of violation of the terms of the Agreement and premium payment schedule by the Policyholder, to suspend and/or terminate the Insurance Agreement in accordance with the rules established by the Agreement and to demand from the Policyholder both the accrued debt and the liquidated damages stipulated in the Insurance Agreement.

10.2.2. increase the insurance premium unilaterally, not more than 30% of the premium of the previous 12 (twelve) months of the Policy before the change, about which the Policyholder will be notified by means of a short text message (SMS) to the phone number specified in the Insurance Policy no later than 1 (one) month before the renewal of the Policy.

10.2.3. not to issue an insurance indemnity in case of detection of the falsification of the occurrence of an insurance event and/or of documents necessary for receiving indemnity, as well as the fact of presentation of false information by the Insured/Policyholder or with his/her participation, and if the indemnity has already been issued, the Policyholder is obliged to unconditionally return it to the Insurer. In addition, the insurance of each such person is subject to immediate cancellation by the Insurer.

10.2.4. after the occurrence of the insured event, to request from the Policyholder/Insured all information and additional documentation necessary to determine the insured event or accident, as well as the amount of damage.

10.2.5. demand the return of the compensation provided, if it turns out that the occurrence of the loss was not caused by the insured event or by the fault of the Policyholder, it is impossible to use the right of regression.

10.2.6. change one or more medical providers at any time during the validity of the Agreement.

10.2.7. in addition to the grounds for terminating the Agreement provided for in the Policy, also unilaterally terminate the Insurance Agreement at any time at its own discretion, based on 1 (one) month prior written notification to the Policyholder.

10.2.8. do not renew the insurance automatically if the Insured or his spouse reaches the age of 60 or the insured child reaches the age of 21 in the next insurance period.

10.3. The Policyholder is obliged to:

10.3.1. when concluding the contract, inform the Insurer of all the circumstances that may affect the decision of the Insurer to refuse the Agreement or conclude it under modified conditions.

10.3.2. if the Policyholder does not want, in case of receiving a short text message (SMS) from the Insurer about the change in the amount of the premium, to renew the Policy under the conditions of increased insurance premium, then he/she is obliged to inform the Insurer in writing within 10 (ten) working days after receiving the short text message, otherwise it will be considered that the Policyholder agrees to the modified terms and the new Policy will be deemed automatically effective and valid.

10.3.3. after the occurrence of an insured event, to comply with all the instructions of the Insurer and to present to the Insurer all the documents and notices stipulated by the Agreement and requested by the Insurer, which are related to the determination of the insured event or accident, as well as the amount of damage.

10.3.4. introduce in detail the terms of the Agreement and its annexes to the Insureds and to obtain from them all types

ვალდებულება, რომ მზღვეველს ენიჭება უფლება მოიძიოს და გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელსაც მზღვეველი ჩათვლის საჭიროდ სადაზღვევო ანაზღაურებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი.

10.3.5. მზღვეველს მიაწოდოს სწორი რეკვიზიტები.

10.3.6. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს სატელეფონო ნომრის ან სხვა საიდეტიფიკაციო თუ საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ.

10.3.7. მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გადასცეს მზღვეველს. თუ დამზღვევი/დაზღვეული უარს განაცხადებს მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

10.3.8. უზრუნველყოს მზღვეველისათვის იმ დოკუმენტაციის სრულად გადაცემა, რომლის საფუძველზეც მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პირებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისათვის მიყენებულ ზიანზე.

10.3.9. დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულებაზე, ასევე მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების/უმოქმედობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები.

10.3.10. ხელიშეუწყოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას.

10.3.11. მზღვეველს მიაწოდოს ყველა საჭირო და ზუსტი ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის აღიარებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენის მიზნით. მზღვეველის მოთხოვნისას დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს კანონით დადგენილი წესით მიანიჭოს უფლება მესამე პირთაგან (ექიმები, ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება, სატრანსპორტო სამსახური და სხვ.) საჭირო ინფორმაციის მოპოვებაზე და საჭიროების შემთხვევაში გაათავისუფლოს უკანასკნელი პირები ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულებისაგან.

10.3.12. განუმარტოს დაზღვეულებს, რომ დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის წარდგენილ დაზღვეულ პირთა საკონტაქტო ტელეფონის ნომრებსა და ელ-ფოსტის მისამართებზე მზღვეველის მიერ განხორციელდება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან ან/და სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებული, პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული მონაცემების შემცველი შეტყობინებების დაგზავნა.

10.3.13. ხელშეკრულების მიზნებისთვის დამზღვევი ვალდებული და პასუხისმგებელია დაზღვეულისგან მოიპოვოს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა.

10.3.14. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია მზღვეველთან შეთანხმებული წესის მიხედვით ყველა დაზღვეულზე სრულად.

10.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

10.4.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მზღვეველისაგან ზარალის ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10.4.2. ისარგებლოს ხელშეკრულებით განსაზღვრული და მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით.

of consent necessary for signing the Agreement and for the Insurer to carry out/perform the actions stipulated by the terms of the Agreement. The Policyholder is obliged to inform the Insured that the Insurer has the right to seek and review all the documents that the Insurer deems necessary for insurance indemnification, otherwise the Insurer reserves the right not to indemnify the damage resulting from the insured event.

10.3.5. provide correct requisited to the Insurer.

10.3.6. immediately notify the Insurer of any change in telephone number or other identifying or contact information.

10.3.7. transfer the right to claim damages against the third party to the Insurer. If the Policyholder/Insured refuses to claim damages against the third party, then the Insurer shall be released from the obligation to indemnify the amount of damages provided for in the Agreement, as much as it could have received to compensate for its expenses in connection with the exercise of the right or the filing of the claim.

10.3.8. provide the Insurer with the complete transfer of the documentation, on the basis of which the insurer will be entitled to demand regressive compensation from the persons who are responsible for the damage caused to the Insured.

10.3.9. the Policyholder is responsible for the performance of the actions provided for in the Agreement by the Insured/Beneficiaries, as well as the compliance of their actions/inactions with the Agreement, therefore the Insurer is entitled not to compensate for damages if the Insured/Beneficiaries violate the obligations and procedures provided for in this Agreement.

10.3.10. facilitate the investigation and search of data related to the occurrence of an insured event and its consequences by the Insurer.

10.3.11. provide the Insurer with all the necessary and accurate information in order to recognize the fact of the insured event and to determine the amount of the insurance indemnification. At the request of the Insurer, the Insured is obliged to grant the Insurer the right to obtain the necessary information from third parties (doctors, any medical institution, transport service, etc.) and, if necessary, to release the latter from the obligation to keep the information secret.

10.3.12. explain to the Insured that to the contact phone numbers and e-mail addresses of the Insured submitted by the Policyholder to the Insurer, the Insurer will send messages related to the services provided by the insurance Agreement and/or services provided by the insurance Agreement in various medical institutions, including containing personal data, including special data.

10.3.13. for the purposes of the Agreement, the Policyholder is obliged and responsible to obtain from the Insured all necessary permissions and consents regarding the processing of personal data.

10.3.14. pay the insurance premium in full for all insured persons according to the terms agreed with the Insurer.

10.4. The Policyholder is authorized to:

10.4.1. in the event of an insured event, request indemnification from the Insurer in accordance with the terms of the Agreement.

10.4.2. exercise the powers defined by the Agreement and granted to him/her by the legislation.

11. დაზღვევის გაგრძელება

11.1. დაზღვევის ლიმიტები ავტომატურად განახლდება ყოველი 12 (თორმეტი) თვის გასვლის შემდეგ, განახლების მომენტისათვის დამტკიცებული პირობების შესაბამისად.

11.2. თუ მზღვეველის მიერ ხელშეკრულების განახლებისას იცვლება დაზღვევის ლიმიტები, მაშინ დამზღვევს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება და საშუალება ეძლევა უარი თქვას განახლებული ლიმიტებით ხელშეკრულების გაგრძელებაზე.

11.3. დაზღვევის მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება 12 (თორმეტი) თვით, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ წერილობით არ განაცხადა მისი შეწყვეტის სურვილი. განახლებული პირობები დამზღვევს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით (SMS) მიმდინარე პერიოდის გასვლამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე.

11.4. ხელშეკრულების ავტომატური განახლებისას, თუ დაზღვევა გრძლდება იგივე, ან მეტი ღირებულების სადაზღვევო პოლისით, მაშინ გეგმიური ჰოსპიტალიზაციის, მათ შორის დღის სტაციონარის, ენდოპროთეზის და მშობიარობის ანაზღაურების პირობები (ანაზღაურების პროცენტი, ლიმიტი) შეესაბამება იმ პოლისს, რომელიც დაზღვეულს შეძენილი ჰქონდა წინა წელს, ხოლო თუ დაზღვევა გრძელდება უფრო დაბალი ღირებულების სადაზღვევო პოლისით, მაშინგეგმიური ჰოსპიტალიზაციის ანაზღაურების პირობები შეესაბამება ახალარჩეულ პოლისს.

11.5. ავტომატურ განახლებას ექვემდებარება მხოლოდ პოლისი/ხელშეკრულება, რომელსაც არ ერიცხება დავალიანება მზღვეველის წინაშე.

11.6. კორპორატიული დაზღვევის შემდეგ ინდივიდუალური დაზღვევის პაკეტით დაზღვევა არ განიხილება დაზღვევის გაგრძელებად და არ ჩაითვლება უწყვეტ დაზღვევად. დაზღვევა ჩაითვლება უწყვეტად მხოლოდ ინდივიდუალური დაზღვევის პაკეტით დაზღვეული პირის მიერ სხვა ინდივიდუალური დაზღვევის პაკეტის შესყიდვისას. ამასთან, ინდივიდუალური დაზღვევის ერთი პროდუქტიდან მეორე გადასვლისას მოცდის პერიოდი ჩაირთვება მხოლოდ იმ სერვისზე, რომელიც დაზღვეულს არ ჰქონდა თავდაპირველ ინდივიდუალურ სადაზღვევო პაკეტში. თუ ახალი ინდივიდუალური სადაზღვევო პაკეტით ხდება სერვისის ლიმიტის გაზრდა, დაზღვეულს უნარჩუნდება წინა პოლისის (პროდუქტის) ლიმიტი.

12. დაზღვევის შეწყვეტა

12.1. დამზღვევის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის შესახებ არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე.

12.2. დამზღვევის მიერ ხელშეკრულების/პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ან დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, დამზღვევი ვალდებულია დამატებით გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისთვის მიმდინარე 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის შესაბამისი გამოუმუშავებული სადაზღვევო პრემიის 75%,

12.3. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მზღვეველის მიერ ხელშეკრულების მოშლა ხდება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო, იგი ვალდებულია დამზღვევს დაუბრუნოს წინსწრებით გადახდილი პრემიის 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის შესაბამისი გამოუმუშავებელი ნაწილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაზღვეულს არ უსარგებლია დაზღვევით.

13. ხელშეკრულებაზე უარის თქმა

13.1. დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მისი გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, ყოველგვარი ჯარიმისა და დამატებით გადასახადის გარეშე, მზღვეველისთვის დანართი #1-ით განსაზღვრული „დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადის“ მზღვეველის იურიდიულ მისამართზე გაგზავნის ან მზღვეველის ფილიალებში ფიზიკურად მიწოდების გზით.

11. PROLONGATION OF INSURANCE

11.1. Insurance limits are automatically renewed after the expiration of every 12 (twelve) months, in accordance with the conditions approved at the time of renewal.

11.2. If the insurance limits are changed during renewal of the Agreement by the Insurer, then the Policyholder receives a corresponding notification and has the opportunity to refuse to continue the Agreement with the updated limits.

11.3. The validity period of the insurance will be automatically extended for 12 (twelve) months, in the event that one of the parties has not expressed the desire to terminate it in writing. The updated terms of the Agreement will be notified to the Policyholder via a short text message (SMS) at least 1 (one) month before the end of the current period.

11.4. During the automatic renewal of the Agreement, if the insurance is continued with an insurance policy of the same or higher value, then the terms of indemnification (percentage of compensation, limit) for planned hospitalization, including day hospitalization, endoprosthesis and childbirth will correspond to the Policy that the Policyholder purchased in the previous year, and if the insurance continues with a low-cost insurance policy, then the terms of indemnification for scheduled hospitalization are consistent with the newly selected policy.

11.5. The subject of automatic renewal are only Policies/agreements that has no obligation to the Insurer.

11.6. Insurance with an individual insurance package after corporate insurance is not considered a continuation of insurance and will not be considered as continuous insurance. The insurance will be considered continuous only when the Insured with the individual insurance package purchases another individual insurance package. However, when switching from one individual insurance product to another, the waiting period will be included only for the services that the Insured did not have in the original individual insurance package. If the service limit is increased with the new individual insurance package, the limit of the previous policy (product) is maintained for the Insured.

12. TERMINATION OF INSURANCE

12.1. In case of early termination of the insurance Agreement by the Policyholder, the Policyholder is obliged to notify the Insurer in writing about the termination of the Agreement at least 1 (one) month in advance.

12.2. In case of early termination of the Agreement/Policy by the Policyholder or early termination of the Agreement due to non-payment of insurance premium by the Insurer, the Insurer is obliged to additionally pay 75% of the unearned insurance premium corresponding to the current 12 (twelve) month period at the time of termination of the insurance.

12.3. In case of early termination of the insurance Agreement by the Insurer (except for the cases when the Agreement is terminated by the Insurer due to the violation of any condition of the Agreement by the Policyholder/Insured, it is obliged to return to the Policyholder the unearned part of the premium paid in advance, corresponding to the period of 12 (twelve) months, if any, only in case the Insured has not benefited from the insurance.

13. REFUSAL OF THE AGREEMENT

13.1. The Policyholder/Insured has the right to refuse the Agreement within 14 (fourteen) days after signing it, without any penalty or additional tax, by sending to the Insurer the "Application for refusal of the Insurance Agreement" specified in Appendix #1 to the Insurer's legal address or by physically delivering it to the Insurer's branches.

13.2. თუ დამზღვევი/დაზღვეული მზღვეველს არ გაუგზავნის მოთხოვნას დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) დღის გასვლის შემდეგ ისარგებლოს ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებით.

13.3. ხელშეკრულების 13.1. პუნქტით განსაზღვრული უფლების არსებობა, არ ათავისუფლებს დამზღვევს/დაზღვეულს სადაზღვევო პრემიის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებისგან.

13.4. თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა მზღვეველთან ან/და კონტრაქტორ კლინიკასთან, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება, მაშინ შესაბამისი მომსახურების მიღებით დამზღვევი/დაზღვეული კარგავს ხელშეკრულების 13.1. პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.

14. სუბროგაცია

14.1. მზღვეველი, ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულისთვის მიყენებულ ზიანზე. შესაბამისად დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს გადასცეს ყველა დოკუმენტი რაც აუცილებელია მზღვეველის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლების სრულად და სრულყოფილად რეალიზაციისათვის.

15. დავების გადაწყვეტა

15.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ.

15.2. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე დაზღვეული და მოსარგებლე მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან.

15.3. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს. გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მზღვეველის ადგილსამყოფელი, დავის განხილვა მოხდება მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საერთო სასამართლოში.

16. ფორს-მაჟორი

16.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

16.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ): სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა.); გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო; ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი

13.2. If the Policyholder/Insured does not send a request to the Insurer on the refusal of the insurance Agreement, then the Policyholder/Insured is entitled to enjoy the rights established by the Agreement after 14 (fourteen) days have passed from the signing of the Agreement.

13.3. Existence of the right specified in the clause 13.1. of the Agreemen does not release the Policyholder/Insured from the obligation to pay the insurance premium in accordance with the terms of the Agreement.

13.4. If the Policyholder/Insured, prior to the expiration of the right to refuse of the Agreement, directly and clearly requested from the Insurer and/or the provider clinic, taking into account the terms of the Insurance Agreement, to receive services, then by receiving the corresponding service, the Policyholder/Insured loses the right to refuse from the Agreement specified in clause 13.1. of the Agreement.

14. SUBROGATION

14.1. The Insurer, after issuing the indemnification of expenses, is entitled to demand compensation of the corresponding expenses from the persons who are responsible for the damage caused to the Insured. Accordingly, the Policyholder/Insured is obliged to hand over to the insured all the documents necessary for the full and complete realization of the right provided by this article by the Insurer.

15. DISPUTE RESOLUTION

15.1. The parties shall use their best efforts to amicably resolve all disagreements and disputes arising between them in relation to the Agreement or other matters related thereto.

15.2. In case of disputes/disagreements related to the execution of the Agreement, in order to end it by mutual agreement/settlement, the parties, as well as the Insured and the Beneficiary, contact the "Insurance Mediation" mediator of the "Association of Insurance Companies of Georgia" through the telephone line at the number: 2555155, or at the address: Tbilisi Mosashvili Street 24, or to the e-mail address: mediacia@insurance.org.ge. The general expenses related to the "Insurance Mediation" process of the "Association of Insurance Companies of Georgia" are financed from the membership revenues of the "Association of Insurance Companies of Georgia".

15.3. If within 30 (thirty) days from the beginning of such negotiations, the parties are unable to resolve the disputed issues by agreement, any party may apply to the court in order to resolve the dispute according to the established rules. Based on the fact that the location of the Insurer is considered the place of performance of the Agreement by the parties, the dispute will be considered in the general court based on its location.

16. FORCE MAJEURE

16.1. Based on the Agreement, none of the parties shall be liable to the other party and shall be released from responsibility for non-fulfilment or improper performance of its obligations, if this was caused by an insurmountable force of an extraordinary nature, the occurrence of which the parties to the Agreement are not responsible and whose existence or occurrence at the time of the conclusion of this tgreement They could not have known.

16.2. The following (and not only) will be considered as force majeure: natural disasters (fire, flood, earthquake, storm, etc.); declared or undeclared war, civil commotion, hostilities of any kind, state of emergency, epidemics, blockade or any economic embargo; The decision of any unit of the government or the body competently determined by the government and the issuance of such normative acts that affect the performance of the

ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

16.3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული და/ან არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

16.4. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

16.5. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

16.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

16.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც განსაზღვრულ იქნა დამზღვევის მიერ.

17. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

17.1. მზღვეველი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ამუშავებს დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის პერსონალურ, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად, ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით მზღვეველისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, მზღვეველის ინტერესების დასაცავად, მათ შორის და არამხოლოდ ორმაგი დაზღვევის მიზნებისთვის ან/და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

17.2. დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მზღვეველი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან, მათ შორის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოსგან მოითხოვოს/მიიღოს/გადაამოწმოს/დაამუშაოს მისთვის აუცილებელი დამზღვევის / დაზღვეულის / მოსარგებლის პერსონალური მონაცემები.

17.3. მზღვეველი თავის მხრივ, უფლებამოსილია შეინახოს და გადასცეს დამზღვევის / დაზღვეულის / მოსარგებლის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით და ხელშეკრულებით დადგენილი წესით სახელმწიფო ორგანიზაციებს, გადამზღვეველ/ კონტრაქტორ/პარტნიორ კომპანიებს, და/ან სხვა კერძო ან საჯარო ორგანიზაციებს.

17.4. დამზღვევი აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველი უფლებამოსილია, სადაზღვევო მომსახურების ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევ(ებ)ის მიზნით დაამუშაოს დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომი გახადოს მზღვეველის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის.

17.5. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი მზღვეველს ანიჭებს უფლებას და იღებს ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში გასცეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

obligations assumed by the parties under the Agreement and change, terminate or suspend the provisions and conditions of this Agreement.

16.3. The parties agree that due to the current political and economic situation in Georgia, the culpable and/or non-culpable actions of third parties, which make it impossible for the parties to fulfill their obligations, are equated with force majeure. The current political-economic situation means the criminogenic situation in the country, the energy crisis and other circumstances arising from the political situation.

16.4. A force majeure event must be confirmed by the competent authority.

16.5. About the occurrence of force majeure circumstances, the party must immediately inform the other party through the available means of communication (telephone, mail, e-mail, courier, etc.).

16.6. As soon as the force majeure circumstances cease, the parties shall immediately continue to fulfill their obligations under the Agreement.

16.7. In the presence of force majeure circumstances, the period of performance of the obligation will be suspended for the time during which such circumstances have passed, unless another agreement has been reached between the parties. If the non-fulfilment of the obligations under the Agreement by the parties continues for more than one month, each party has the right to unilaterally terminate the operation of this Agreement by sending a written notice (or via e-mail) or by other available means, which will be delivered by the party to the address at least two weeks before the estimated date of termination, which was determined by the Insurer.

17. PERSONAL DATA PROCESSING

17.1. The Insurer acts within the scope of the powers granted by the legislation of Georgia and processes the personal data of the Policyholder/Insured/Beneficiary, including special category data, to conclude an insurance agreement, to fulfill the obligations under the same agreement, to fulfill the duties assigned to the Insurer by the legislation of Georgia, to protect the interests of the Insurer, among them and not only for double insurance purposes and/or in other cases established by law.

17.2. By signing the Agreement, the Insurer confirms that the Insurer is authorized to request/receive/verify/process the personal data of the Insured/Policyholder/Beneficiary information from the relevant administrative body, including the LEPL State Services Development Agency, the LEPL MIA Service Agency, in accordance with the procedure established by law, for the purpose provided for in this Agreement and to the extent necessary for the implementation of this purpose.

17.3. In turn, the Insurer is authorized to store and transfer the personal data of the Insured/ Policyholder/Beneficiary in the manner established by the law and the Agreement to state organizations, reinsurer / provider / partner companies, and/or other private or public organizations.

17.4. The Policyholder agrees that the Insurer is authorized to process the personal data of the Insured/Policyholder/Beneficiary for the purpose of insurance service quality and/or research(s) related to insurance, including making the said data available to the Insurer's partner organizatios.

17.5. By signing the Agreement, the Policyholder gives the Insurer the right and undertakes, if necessary, to issue

გაცემული დამატებითი წერილობითი თანხმობა, რათა მზღვეველმა შეუფერხებლად აწარმოოს მოკვლევა დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და/ან სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მოპოვება სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ორგანიზაციებში სადაზღვევო ხელშეკრულების რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით.

17.6. დამზღვევს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე უსასყიდლოდ გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა მზღვეველისთვის ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის გზით ელ-ფოსტის მისამართზე: info@gpih.ge, ან/და მზღვეველის მხარდაჭერის სამსახურში მოთხოვნის დაფიქსირების გზით ნომერზე: (+995 32) 2 505 111. დამზღვევის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება შეწყდება ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშლება ან/და განადგურდება მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების/შენახვის სხვა საფუძველი არ არსებობს. დამზღვევს, თანხმობის გამოხმობამდე, უფლება აქვს, მზღვეველს მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

17.7. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი აცხადებს თანხმობას, რომ მიიღო სრული ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნების, მოცულობების, მისი და, არსებობის შემთხვევაში, მის მიერ მითითებულ პირთა, როგორც მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის უფლებების შესახებ, კერძოდ, მზღვეველისგან მის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მიღების, მონაცემთა დამუშავების შესახებ გაცემული თანხმობის სრულად ან/და ნაწილობრივ გამოხმობაზე, მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის და განადგურების თაობაზე.

17.8. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ დაზღვეულის/მოსარგებლის პერსონალური მონაცემების მის მიერ მზღვეველისათვის მიწოდების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება და ნებაყოფლობითი თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების მზღვეველის მიერ დამუშავების თაობაზე და დამზღვევი სრულად არის პასუხისმგებელი აღნიშნული მონაცემების მოპოვებაზე, დამუშავებაზე და მზღვეველისათვის გადმოცემაზე.

17.9. მზღვეველი ადასტურებს, რომ დანერგილი აქვს ყველა ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და ახორციელებს ყველა აუცილებელ ქმედებას, რათა დაიცვას დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება.

18. მხარეთა შორის კომუნიკაციის წესი

18.1. დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა შეტყობინება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია მზღვეველის მიერ დამზღვევს/დაზღვეულს მიეწოდება ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით ან/და ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებულ მისამართზე/ადგილსამყოფელზე ინფორმაციის/შეტყობინების გაგზავნით.

18.2. დაზღვევის ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად/მიღებულად ითვლება მისი გამოგზავნის დღეს.

18.3. თუ დამზღვევს/დაზღვეულს შეტყობინება გაეგზავნა დაზღვევის ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებულისაგან განსხვავებულ ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომერზე, შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება და დასტურებულია დამზღვევის/დაზღვეულის მიერ.

18.4. თუ ინფორმაცია მისამართის, ადგილსამყოფელის, ელექტრონული ფოსტის ან/და ტელეფონის ნომრის თუ სხვა

additional written consent issued in accordance with the legislation of Georgia, so that the Insurer can smoothly conduct research on the Insured/Policyholder/Beneficiary (if any) and/or obtain any documentation/information about the insured event, state, private or in other types of organizations, for the control of the risks of the Insurance Agreement, for the purpose of verifying the information necessary for the insurance indemnification and confirming its authenticity.

17.6. The Policyholder has the right, at any time, without any explanation or justification, to revoke the consent given by him free of charge by sending an electronic message to the Insurer at the e-mail address: info@gpih.ge, and/or by submitting a request to the Insurer's support service at the number: (+995 32) 2 505 111. In accordance with the request of the Policyholder, data processing shall be terminated and/or processed data shall be deleted and/or destroyed no later than 10 (ten) working days after the request, if there is no other basis for data processing/storage. The Insurer, before withdrawing consent, has the right to request and receive information from the Insurer about the possible consequences of withdrawing consent.

17.7. By signing this Agreement, the Policyholder declares his/her consent to receive full information about the purposes, volumes, and, if any, of the data subject(s) specified by him/her of the data subject(s) defined by the law of Georgia, precisely, about the rights to receive information from the Insurer regarding the processing of the personal data of subject(s) specified by him/her, to fully and/or partially withdraw the consent given for the data processing, to correct, update, add, block, delete and destroy the data.

17.8. By signing the Agreement, the Insurer confirms that the basis for providing the Insured's/Beneficiary's personal data to the Insurer is to inform the data subjects in accordance with the legislation of Georgia and give their voluntary consent to the processing of their personal data by the Insurer, and the Policyholder is fully responsible for obtaining, processing and transferring said data to the Insurer.

17.9. The Insurer confirms that it has implemented all technical or organizational measures and takes all necessary actions to protect against unauthorized or illegal processing, loss, destruction, damage, unauthorized modification or disclosure of the personal data of the Insured/Policyholder/Beneficiary.

18. RULES OF COMMUNICATION BETWEEN THE PARTIES

18.1. All notices and/or other information related to the Insurance Agreement shall be provided by the Insurer to the Policyholder/Insured by any means of communication, including by sending information/messages to the e-mail address and/or phone number via a short text message and/or to the address/location specified in the Agreement/Policy.

18.2. A notice sent to the e-mail address and/or phone number specified in the Insurance Agreement/Policy is considered delivered/received on the day it is sent.

18.3. If the notice was sent to the Policyholder/Insured at an e-mail and/or telephone number different from the one indicated in the Insurance Agreement/Policy, the notice shall be considered delivered on the day of its receipt by the Policyholder/Insured if the notice is received and confirmed by the Policyholder/Insured.

რეკვიზიტების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ არ გაეგზავნა მზღვეველს, მაშინ მზღვეველის მიერ ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებულ მისამართზე/ელექტრონულ ფოსტაზე/ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია / შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეული მიერ მიღებულად.

18.5. წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება თუ მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, თუ მას ჩაიბარებს დამზღვევეთან/მოსარგებლესთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი. თუ შეტყობინების ჩაბარებაზე, მხარე, მისი ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი უარს აცხადებს შეტყობინების ჩაბარებაზე, მაშინ შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

18.4. If the information about the change of address, location, e-mail and/or telephone number or other details is not immediately sent to the Insurer, then any correspondence / notice sent by the Insurer to the address/e-mail/telephone number indicated in the contract/policy shall be deemed to have been received by the Policyholder/Insured.

18.5. The written notice shall be deemed delivered to the address specified by the party, if it is delivered by any capable member of the family living with the insured/beneficiary. If upon delivery of the notice, the party or any capable member of his/her family refuses to deliver the notice, then the notice shall be deemed to have been delivered.

19. დამატებითი პირობები

19.1. დამზღვევი აცხადებს, რომ როგორც თვითონ ასევე, დაზღვეული ან/და მოსარგებლე პირდაპირ და არაპირდაპირ არ მონაწილეობს რამე უკანონო და დანაშაულებრივ საქმიანობაში რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას, მათ შორის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში. მის მიერ გარიგების დადების მიზანი არ არის ტერორიზმის ან/და სხვა ნებისმიერი უკანონო საქმიანობის დაფინანსება; არცერთი მისი დამფუძნებელი თუ ბენეფიციარი მესაკუთრე, ასევე ის პირები ვის სასარგებლოდაც იდება გარიგება, შეტანილი არ არის ტერორისტთა ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში ან/და არანაირად დაკავშირებული არ არიან მათთან ასევე არ მონაწილეობენ არანაირ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში

19.2. იმ შემთხვევაში თუ დაზღვეულის მიერ შეძენილი იქნება რამოდენიმე სახის დაზღვევა და/ან სადაზღვევო მომსახურება, ყველა მომსახურებისათვის სტანდარტული პირობა მოცემული იქნება ხელშეკრულებაში, ხოლო მომსახურების კონკრეტული პირობები შესაბამის დანართში, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას და იქნება მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

19.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით და ძალაშია ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდგომ.

19.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე და წარმომადგენლებზე.

19.5. ყველა ყველა საკითხი, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

19.6. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ ნებისმიერი სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმება ხელშეკრულებით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით ბათილია.

19.7. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

19.8. ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევებში.

19.9. მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრული რეკვიზიტების შეცვლის შესახებ უნდა აცნობონ ერთმანეთს ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად. ნებისმიერი შეტყობინება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ უნდა ატარებდეს წერილობით ან/და ელექტრონულ ფორმას, გარდა ხელშეკრულებით დადგენილი სპეციალური პირობებისა

19.10. მზღვეველი არ მოახდენს სადაზღვევო ანაზღაურებას ან რაიმე მომსახურების გაწევას დამზღვევისათვის ან მესამე პირისათვის თუ ამგვარი ანაზღაურება/მომსახურება, ან დამზღვევის საქმიანობა არღვევს საერთაშორისო ან ადგილობრივი სავაჭრო

19. ADDITIONAL TERMS

19.1. The Policyholder declares that he/she, the Insured and/or Beneficiary are not directly or indirectly involved in any illegal or criminal activity contrary to the laws of any jurisdiction, including money laundering, arms trafficking, drug trafficking and/or terrorism. The purpose of making a transaction by him/her is not to finance terrorism and/or any other illegal activity; None of its founders or beneficial owners, as well as those persons in whose favor the transaction is made, are included in the list of terrorists or persons supporting terrorism and/or are not related to them in any way and do not participate in any illegal activity.

19.2. In the event that several types of insurance and/or insurance services are purchased by the Insured, the standard conditions for all services will be given in the contract, and the specific service conditions will be in the relevant appendix, which will be attached to the contract and will be an integral part of it.

19.3. Amendments and additions to the Agreement are made in writing, signed by both parties, and are valid upon signature by both parties.

19.4. All rights and obligations provided for in the Agreement apply to the successors and representatives of both parties.

19.5. All issues that are not covered by the Agreement are regulated by the current legislation of Georgia.

19.6. Any oral or written agreement after the signing of the Agreement regarding the issues regulated by the Agremeent is null and void.

19.7. The Insurer is not responsible for reimbursement of any service costs that are not covered by the Agreement.

19.8. According to the Agreement, the contractual conditions are confidential and any information related to this Agreement will be transferred to the third party(s) in the manner established by the applicable legislation, as well as in cases of prior written consent of the parties.

19.9. he parties shall notify each other about the change of the requisites specified in the Agreement no later than 5 (five) working days after the change is made. In case of not providing information about change of address/location to the Insurer immediately, any notification sent by the Insurer shall be considered as received by the Policyholder. Any notification by the Policyholder/Insured must be in written and/or electronic form, except for special conditions established by the Agreement.

19.10. The Insurer will not make insurance payments or provide any services to the Insured or to a third party if such

თუ სხვა ეკონომიკური სანქციების მოთხოვნებს. სანქციების რიცხვს მიეკუთვნება: ადგილობრივი, ევროკავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების, გაერთიანებული ერების, აშშ-ის და გაერთიანებული სამეფოს; ან ნებისმერი სხვა სანქცია რომელიც შეეხება დამზღვევს/მოსარგებლეს/დაზღვეულს, იმ პირობით რომ ამით არ ირღვევა მზღვეველის ეროვნული კანონმდებლობა.

19.11. მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო მომსახურების განხორციელებაზე ან შეწყვიტოს ამგვარი ურთიერთობა, თუ დაზღვეული/დამზღვევი/ბენეფიციარი უარს აცხადებს მზღვეველისთვის „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე.

19.12. ხელშეკრულება შედგენილია ორ გზემპლარად და ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

* **დაზღვევას არ ექვემდებარებიან დაზღვევის მომენტში ჰოსპიტალურ მკურნალობაზე მყოფი პირები, მწოლიარე პაციენტები, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებელი გადაადგილება ან/და სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად.**

payments/services, or activities of the Policyholder, violate the requirements of international or local trade or other economic sanctions. Sanctions include: local, EU and its member states, United Nations, USA and UK; or any other sanctions that concerns the Insured/Policyholder/Beneficiary, provided that this does not violate the national legislation of the Insurer.

19.11. The Insurer has the right to refuse to provide insurance services or to terminate such a relationship if the Insured/Policyholder/Beneficiary refuses to the Insurer "On mutual administrative assistance in tax matters" within the framework of the convention of January 25, 1988 "On the automatic exchange of information on financial reports" by multilateral agreement of the competent authorities (CRS MCAA) or on the provision of information based on the requirements established by the relevant agreement on the automatic exchange of information on financial reports between Georgia and the relevant jurisdiction.

19.12. The Agreement is drawn up in two copies and both copies have equal legal force. Each copy of the Agreement shall be given to each party.

* Persons undergoing hospital treatment at the time of insurance, bedridden patients who cannot move independently and/or need assistance to perform daily household activities are not covered by the insurance.

დანართი 2.
ყოველთვიური პრემია:

პაკეტი/ასაკი	პრემიუმი	კლასიკი	სტანდარტი
01 - 20	**117.00**	**92.00**	**80.00**
21 - 30	**124.00**	**97.00**	**85.00**
31 - 35	**126.00**	**102.00**	**87.00**
36 - 40	**134.00**	**105.00**	**93.00**
41 - 45	**150.00**	**117.00**	**104.00**
46 - 50	**156.00**	**123.00**	**108.00**
51 - 59	**207.00**	**165.00**	**143.00**
> 60	**371.00**	**270.00**	**255.00**

ასაკის გამოთვლა ხდება შემდეგნაირად: მიმდინარე წელს გამოკლებული დაზღვეულის დაბადების წელი. გასათვალისწინებელია, რომ მიმადინარე სადაზღვევო პერიოდში დაზღვეულს არ უსრულდებოდეს 60 წელი.
The age calculation shall be made according to the following rule: To current year minus the birth year of the insured.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაზღვევა ხორციელდება კოეფიციენტით 1.5. Foreign citizens are insured with a coefficient of 1.5.

ჯიპიაი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი



ონკო ქეარი

დაზღვევის პირობები

ONCO CARE

INSURANCE WORDING

1. ზოგადი დებულებები:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს დაზღვეულის, დამზღვევის და მზღვეველის უფლებებსა და ვალდებულებებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურების გაწევისას, კერძოდ მზღვეველი ვალდებულია დამზღვევის/დაზღვეულის მიერ პოლისით დადგენილი პრემიის ჯეროვნად გადახდის სანაცვლოდ, დაზღვეული პირის ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებით დიაგნოსტირებისას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით დამზღვევს/დაზღვეულს აუნაზღაუროს პოლისში მითითებული თანხა.

1.2. სიმსივნური დაავადების დაზღვევა - ითვალისწინებს პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, დაზღვეულის ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირების შემთხვევაში მოსარგებლისათვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას, დაზღვევის პირობების გათვალისწინებით. მხარეები თანხმდებიან და მათთვის ცნობილია რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებას, კერძოდ აღნიშნული დაზღვევის ფარგლებში გაცემული ფულადი კომპენსაცია არ წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, არ არის დამოკიდებული მასზე და დაზღვეულმა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი მიზნისთვის.

2. ზოგადი განმარტებები:

2.1. სადაზღვევო შემთხვევა – შესაბამისი სამედიცინო სპეციალობის და საექიმო უფლების მქონე ექიმის მიერ ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოზის დადგენა დაზღვეულისთვის;

2.2. დაზღვეული/დამზღვევი – 65 წლამდე ასაკის პირი, და/ან 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა;

2.3. დაზღვეულის შვილი/არასრულწლოვანი პირი – დაზღვეულის 18 წელზე ნაკლები ასაკის შვილი, რომელიც ჩართულია ხელშეკრულებაში;

2.4. სადაზღვევო ანაზღაურება – დაზღვეულის მიერ არჩეული სადაზღვევო თანხა, რომელიც გაიცემა დაზღვეულზე იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულს დაუდგინდება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება.

2.5. მეორე აზრის მოძიება - მომსახურება ითვალისწინებს ონკოლოგიური დაავადების დიაგნოზის შემთხვევაში, მსოფლიოს წამყვანი კლინიკის სპეციალისტების მიერ დიაგნოზის დაზუსტებას/დადასტურებას, მკურნალობის ყველაზე ოპტიმალური სქმის შერჩევას, სხვა სახის სამედიცინო რეკომენტაციების მომზადებას (სერვისი განკუთვნილია მხოლოდ ძირითადი დაზღვეულისთვის).

2.6. მოცდის პერიოდი – პერიოდი, რომელიც იწყება ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან და რომლის განმავლობაშიც დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებისას არ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა.

2.7. მკურნალი ექიმი – შესაბამისი სამედიცინო სპეციალობის მქონე ექიმი, რომელიც მონაწილეობდა ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების პირველადი დიაგნოზის დასმაში და დაზღვეულის მკურნალობაში, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი და რომელიც მას აძლევს სამედიცინო პრაქტიკის განხორციელების უფლებას საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით; თუ დაზღვეული თავად არის მკურნალი ექიმი, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უნდა წარმოადგინოს სხვა მკურნალი ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო დასკვნა.

2.8. დიაგნოზი – წერილობითი დასკვნა, რომელიც აზუსტებს ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირებული ფორმის სახელწოდებასა და განვითარების სტადიას დაშედგენილია იმ მკურნალი ექიმის მიერ, რომელმაც ჩაატარა დაზღვეულის ფიზიკური და/ან დიაგნოსტიკური შემოწმება;

1. GENERAL PROVISIONS:

1.1. The Agreement regulates rights and obligations of insured, policyholder and insurer when providing insurance services hereunder. Specifically, when diagnosed with malignant tumor, insurer shall, in exchange for duly paid premium defined in a policy, reimburse the amount specified in the policy in accordance with the procedure set forth by the Agreement.

1.2. Cancer Insurance provides for reimbursement of the sum insured to a beneficiary throughout insurance validity period under insurance policy, in case insured has been diagnosed with malignant tumor. The parties agree upon and recognize that this Agreement is not health insurance agreement, specifically, monetary compensation provided hereunder does not correspond to reimbursement of medical expenses, does not depend on it and the insurer may use it for any purpose.

2. DEFINITIONS:

2.1. Insured Event – diagnosis of malignant tumor established by a physician with medical specialty and relevant rights.

2.2. Insured/Policyholder – a person before 65 years of age and/or person before 18 years of age for whom the insurance is being provided.

2.3. Insured's Daughter or Son/Underage Person – daughter/son of the Insured included in the Agreement.

2.4. Insurance Reimbursement – sum insured selected by the Insured, which shall be provided to the Insured in case diagnosed with malignant tumor.

2.5. Seek Second Opinion – in case of cancer diagnosis, the service implies verifying/confirming diagnosis by specialists of leading clinics of the world, selecting the most optimal treatment scheme, preparing other kinds of medical recommendations (the service pertains only to the main Insured).

2.6. Waiting Period – period starting from the enforcement date of the Agreement and during which reimbursement is not provided (in case of malignant tumor);

2.7. Treating Physician – a physician with relevant medical specialty participating in initial diagnosis and treatment of the Insured. One that holds a state certificate confirming entitlement to independent medical practice, which entitles the physician to practice medicine in line with regulations in force in Georgia. If the Insured is not a treating physician, upon occurrence of an insured event, they shall submit medical diagnosis issued by another treating physician.

2.8. Diagnosis – written conclusion verifying name and development stage of diagnosed form of a malignant tumor, which is composed by the physician, who conducted physical and/or diagnostic examination of the Insured.

2.9. Medical Records – documentation on the health condition of the Insured compiled by treating physician and/or other health workers or medical establishment. Such documentation includes final diagnosis of the treating physician related to malignant tumor diagnosis, recommendations for treatment and mandatory documents, e.g. lab results, X-ray, histopathology reports,

2.9. სამედიცინო ჩანაწერები – დოკუმენტაცია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, შედგენილი მკურნალი ექიმის და/ან ჯანდაცვის სხვა მუშაკის თუ სამედიცინო დაწესებულების მიერ. ამგვარი დოკუმენტაცია მოიცავს მკურნალი ექიმის საბოლოო დასკვნას ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დიაგნოზთან დაკავშირებით, რეკომენდაციებს მკურნალობისთვის და ისეთ აუცილებელ დოკუმენტაციას, როგორიცაა ლაბორატორიული ანალიზების შედეგები, რენტგენოგრამა, ჰისტოპათოლოგიური შედეგები, სხვა სადიაგნოსტიკო კვლევების შედეგები და დამატებითი ინფორმაცია, მიღებული კლინიკური შემოწმების შედეგად;

2.10. დაზღვევამდე არსებული დაავადება – დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე, რაც წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ მზღვეველმა გამორიცხოს სადაზღვევო თანხის/კომპენსაციის გადახდის ვალდებულება;

2.11. ინვაზიური სიმსივნე – დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ხასიათდება უკონტროლო ზრდით და ავთვისებიანი უჯრედების გავრცელებით და შეღწევით ჯანმრთელ ქსოვილებში;

2.12. დამზღვევი/დაზღვეული –პირი, რომელიც აფორმებს ხელშეკრულებას. არასრულწლოვანი დაზღვეულის შემთხვევაში პირი, რომელზეც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას და რომელზეც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

2.13. პოლისი – მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.14. მზღვეველი – სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი".

2.15. სადაზღვევო შენატანი (პრემია) - დამზღვევის მიერ დაზღვეულის სასარგებლოდ გადასახდელი სადაზღვევო პოლისის წლიური ღირებულება, რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს პოლისში მითითებული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

2.16. სადაზღვევო პერიოდი - პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სადაზღვევო პოლისი მოქმედია. მზღვეველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ანაზღაურდება, ამ პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე.

3. ძირითადი პირობები:

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაზღვეული აცხადებს წინასწარ თანხმობას და ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას მზღვეველმა ნებისმიერი მესამე პირისგან, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებისგან, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გამოითხოვოს დაზღვეულის სამედიცინო ჩანაწერები, ასევე ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია და დაავადებასთან დაკავშირებული მონაცემი.

3.2. დაზღვევა ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ გადახდილია პირველი ან ერთჯერადი (სრული) სადაზღვევო პრემია და გაცემულია პოლისი.

3.3. სადაზღვევო თანხის ოდენობას ირჩევს დაზღვეული და ის შეიძლება იყოს განსაზღვრული ლარში ან აშშ დოლარში.

3.4. არასრულწლოვანი შვილი შეიძლება დაზღვეული იქნეს მხოლოდ ერთ-ერთ დაზღვეულ მშობელთან ერთად.

3.5. დაზღვევის პერიოდის განმავლობაში დამზღვევს შეუძლია მოთხოვოს მზღვეველს 18 წლამდე ასაკის შვილის დაზღვევა, რომელიც თავიდანვე არ იყო დაზღვეული, დამატებითი პრემიის გადახდის გარეშე. ასეთ შემთხვევაში 18 წლამდე ასაკის შვილზე ვრცელდება 180 დღიანი მოცდის პერიოდი.

4. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი:

4.1. სადაზღვევო პრემია ანაზღაურდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო თანხა არჩეულია აშშ დოლარში,

results of other diagnostic tests and additional information obtained through clinical examination.

2.10. Pre-existing Illness – health condition of the insured prior to concluding insurance agreement, which creates grounds for the Insurer to eliminate liability of paying sum insured/providing compensation.

2.11. Invasive Cancer – diagnosed malignant tumor, which is characterized by uncontrolled growth and spread of malignant cells, invasion of healthy cells.

2.12. Policyholder/Insured – person concluding the Agreement. In case of underage insured, the person they are concluding the agreement for and for whom the reimbursement is provided in case insured event occurs.

2.13. Policy – Insurance certifying document established by the legislation in force.

2.14. Insurer – JSC Insurance Company GPI Holding

2.15. Insurance Fee (Premium) – annual cost of insurance policy paid by the Insured to the Insurer in exchange for rendered services specified in the Policy.

2.16. Insurance Period – period specified in the Policy, during which the Insurance Policy is valid. In line with the Insurance Wording, insured events occurred within this period shall be reimbursed only up to the date the insurance period is no longer valid.

3. KEY TERMS AND CONDITIONS:

3.1. By singing the Agreement, the Insured gives initial consent and grants the Insurer right to obtain medical records from any third party, including medical establishment (after being diagnosed), moreover, any personal information and data related to the illness.

3.2. The insurance is valid in case the first or single (total) premium fee has been paid and the Policy has been issued.

3.3. Sum insured is selected by the Insured and it may be in GEL of USD.

3.4. Underage daughter/son may be insured with one of the parents only.

3.5. Throughout the insurance period, the Policyholder is entitled to request insurance of a son/daughter under 18 years of age, who was not insured from the beginning, without paying additional premium. In such case 180 days of waiting period applies to the son/daughter under 18 years of age.

სადაზღვევო პრემია დაანგარიშდება ლარში პრემიის გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

4.2. დამზღვევი და/ან დაზღვეული ვალდებულნი არიან გადაუხადონ მზღვეველს დაზღვევის პრემია პოლისში მითითებული გადახდის გრაფიკის დაცვით და პოლისში მითითებული ოდენობით.

5. დაზღვევის დაწყება და მისი პერიოდი:

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ერთი წლის ვადით, მისი 5 წლამდე პერიოდით ავტომატური გაგრძელების პირობით. სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება პოლისით.

5.2. დაზღვევა მხარეთა დამატებითი შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა ავტომატურად შეწყდება იმ სადაზღვევო წლის ამოწურვისას, როცა დაზღვეული გახდება 75 წლის ასაკის.

5.3. დაზღვევა ძალაში შედის პოლისში მითითებული დაზღვევის ძალაში შესვლის დღის 00:00 სთ-ზე, იმ პირობით, რომ დამზღვევის/დაზღვეულის მიერ გადახდილი იქნება პრემიის პოლისით დადგენილი პირველი შენატანი ან ერთჯერადი პრემიისას პრემია სრულად. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება პოლისში მითითებულ დაზღვევის დასრულების თარიღის 24:00 სთ-ზე.

6. პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაზღვევას:

6.1. პირი, რომელსაც დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე დიაგნოსტირებული აქვს შემდეგი დაავადებები ან/და იმყოფება დიაგნოსტირების ან მკურნალობის პროცესში:

1) სიმსივნე, კიბო, ლეიკემია, ლიმფომა, კანის პათოლგიური ცვლილება ან ხალების ნებისმიერი ფორმა, რომელსაც ახლავს სისხლდენა, ტკივილი, ფერის შეცვლა ან ზომის მომატება.

2) მსხვილი ნაწილავის პოლიპოზი, ნაწლავის ანთება (კრონის დაავადება ან წყლულოვანი კოლოტი), თირკმლის პოლიკისტოზი, სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადებები, აზბესტოზი, B, C, D, E ფორმის ჰეპატიტი, ან ღვიძლის ციროზის რომელიმე ფორმა.

6.2. 64 წლის და მეტი ასაკის პირები პირველადად დაზღვევისას ან 74 წელზე მეტი ასაკის პირები დაზღვევის უწყვეტად განახლების შემთხვევაში.

7. მოცდის პერიოდი:

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის მოცდის პერიოდი არის ექვსი თვე.

7.2. მოცდის პერიოდი დაიწყება დაზღვევის წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღეს.

7.3. მზღვეველის ვალდებულება, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან მისი რაიმე ნაწილი, არ ამოქმედდება, თუ დაზღვეულს დაუდგინდება ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება მოცდის პერიოდის განმავლობაში.

7.4. მოცდის პერიოდი არ შეეხება იმ პირებს, რომლებსაც აქვთ დაზღვევის უწყვეტი დაფარვა, ანუ იმ პირებს, რომლებსაც მიღებული აქვთ დაზღვეულის სტატუსი დაზღვევის წინა პოლისით და/ან რომელთა მოცდის პერიოდი უკვე ამოიწურა წინა დაფარვისას (პოლისი და/ან პოლისის დანართი).

7.5. მოცდის პერიოდი ასევე არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით დაზღვეული არასრულწლოვანი პირი, გახდება 18 წლის და უწყვეტად, დამოუკიდებლად გააფორმებს მზღვეველთან ახალ ხელშეკრულებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე.

7.6. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ხელახალი დაზღვევისას მოცდის პერიოდის ათვლა ხდება თავიდან.

4. INSURANCE PREMIUM AND PAYMENT PROCEDURE:

4.1. The insurance premium shall be reimbursed in the national currency of Georgia. In case the sum insured has been selected in USD, the insurance premium shall be calculated on the date of making premium payment in GEL, in accordance with the currency set by the National Bank of Georgia.

4.2. The Policyholder/Insured shall pay the Insurer insurance premium pursuant to the payment schedule and in the amount specified in the Policy.

